



**შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯია-ს ფინანსური ანგარიშგება მცირე და საშუალო
საწარმოებისთვის საერთაშორისო სტანდარტის საფუძველზე**

2021 წელი

ზოგადი ინფორმაცია შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯია-ს საქმიანობის შესახებ

ს/კ 400125976

შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯია, რომელიც ასრულებს ადგილობრივ და საერთაშორისო სასადგურე მომსახურებას საკუთარი ლოკომოტივებით, ხოლო 2020 წლიდან საკუთრებაში არსებული სატვირთო მანქანებით ახორციელებს გადაზიდვებს საქართველოს მასტაბით. ფინანსური ანგარიშგებისთვის მოამზადა განმარტებითი შენიშვნები შემდეგნაირად: შპს შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2014 წლის 3 სექტემბერს. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მისი 100% იანი წილის მფლობელი და დირექტორია გიორგი ჯამაგიძე (პ/ნ 01023011828). თუმცა 2016 01 ივლისიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე პერიოდში შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას წილები მესაკუთრეებს შორის განაწილებული იყო შემდეგნაირად 50% გიორგი ჯამაგიძე პ/ნ 01023011828 და 50% გივი მამაცაშვილი პ/ნ 01007006488.

კომპანიის იურიდიული მისამართია თბილისი, ქვიშხეთის ქ N8 და საქმიანობის ფაქტიური მისამართია: ბათუმი, ქიქავას 13 (ბათუმის რკინიგზის სადგური) და ფოთის რკინიგზის სადგური. ასევე სატვირთო გადაზიდვები ავტომობილებით საქართველოს მასტაბით. შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას ძირითადი საქმიანობაა ადგილობრივი და საერთაშორისო ტვირთების სასადგურე მომსახურება საკუთარი ლოკომოტივებით რკინიგზის სადგურ ბათუმსა და სადგურ ფოთში.

ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა და განმარტებების მითითებება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრისთვის

		31.12.2021	31.12.2020	31.12.2019
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები		4886931	4975412	4509922
ძირითადი საშუალებები		1325214	1413695	1462193
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში (შპს კელარი)		3561717	3561717	3047729
მოკლევადიანი აქტივები		1515485	341265	154314
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	2	1043091	20299	9766
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	3	206195	193707	63152
გადახდილი ავანსები	3	147621	55520	30593
ბიუჯეტში ავანსად გადახდილი თანხა		6152		5043
სათადარიგო ნაწილები მარაგები	7	112425	71739	45760
სულ აქტივები		6402416	5316677	4664236
ვალდებულებები				
ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4	14670	2778	11533
საგადასახადო ვალდებულებები			11415	
საპენსიო ფონდი		8		83
მიღებული ავანსები	4	45015		63036
გადასახდელი ხელფასები	12			37053
გადასახდელი პროცენტები		778	778	778
მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები	5	1020164		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	5	2164348	3293921	2863468
მესაკუთრეებისგან ნასესხები თანხები		27		10000
სულ ვალდებულებები		3245009	3308892	2985951
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		3157406.7	2007784.89	1678285
გადაფასების რეზერვი				
მთლიანი კაპიტალი		3 157 407	2 007 785	1 678 285
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6 402 416	5 316 677	4 664 236

დირექტორი გიორგი გამაგიძე



**2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და
გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება**

საქმიანობის შედეგები (მოგება/ზარალი)	შენიშვნა	2021	2020
შემოსავალი ძირითადი საქმიანობიდან		8324798	6525914
სასადგურე მომსახურება	6	8091575	6385681
თბომავლის იჯარიდან მიღებული შემოსავალი	6	0	17313
სატვირთო მანქანების ტვირთის გადაზიდვით მიღებული შემოსავალი ადგილობრივი	6	21555	6822
სატვირთო მანქანების ტვირთის გადაზიდვით მიღებული შემოსავალი საერთაშორისო	6	211630	
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	6	38.	115527
სხვა შემოსავალი	6		572
დადებითი საკურსო სხვაობა			
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		-6223236	-4932246
პერსონალის ხარჯი	12	(983 595)	(810 550)
ტრანსპორტის და შენახვის ხარჯები	13	(262 529)	(67 744)
გახარჯული სათადარიგო და სახარჯი მასალები	7	(352 325)	(229 002)
სასადგურე მომსახურება	9	(4 450 154)	(3 541 880)
გაყიდული საქონლის თვითღირებულება			(112 561)
ცვეთა და ამორტიზაცია	1	(122 755)	(112 473)
სხვა საგადასახადო ხარჯი	11	(15 428)	(15 291)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(28 950)	(34 704)
იჯარის ხარჯი	10	(7 500)	(8 042)
საოპერაციო მოგება		2101562	1593668
სხვა შემოსავალი და ხარჯები		161144	-820053
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი /შემოსავალი	14	334 353	(652 729)
გრძელვადიან სესხის მიმდინარე ნაწილზე გადახდილი პროცენტი	5	(173 210)	(167 324)
მოგება დაბეგვრამდე		2262706	773615
მოგების გადასახადი	15	(166 963)	(66 617)
წმინდა მოგება		2095743	706998
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2007785	1 678 285
დივიდენდის განაწილება მესაკუთრეებზე	15	(945 222)	(377 498)
სხვა ცვლილებები	15	(900)	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		3157407	2007785

დირექტორი გიორგი ჯამაგიძე



**ფულადი ნაკადების ანგარიშგების უწყისი 2021 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით (პირდაპირი მეთოდი)**

ფულადი ნაკადის მოძრაობის უწყისი	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1 879 846	1 291 168
მყიდველებიდან შემოსული ფულიადი სახსრები	8 519 042	6486935.5
ადგილობრივ მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(5 414 464)	(4 103 365)
უცხოელმომწოდებლებზე გადახდილი თანხები		(109 082)
გადახდილი ხელფასები	(785 156)	(665 427)
ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიშზე გადახდილი თანხები	(422 979)	(281 726)
ფულადი სახსრების ხარჯი საოპერაციო საქმიანობიდან		(3 166)
საპენსიო ანარიცხები	(16 597)	(12 491)
საბაჟოზე გადახდილი გადასახადები		(20 510)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-	(517 122)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფული(შემენილი ძირითადი საშუალება)	-	(3 134)
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	-	(513 988)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(857 054)	(763 512)
მიღებული სესხები	40 000	3 121 287
დაჯავშნული თანხები	1 020 164	
სესხის დაფარვა	(830 086)	(3 345 693)
გადახდილი პროცენტები	(173 210)	(167 324)
გადახდილი დივიდენდები	(897 961)	(358 623)
ბანკის ხარჯი და ბანკის ჯარიმა სესხის ვადის გადაცილებისთვის სესხის დასმის საკომისიო	(10 801)	
დამფუძნებლის შენატანის დაბრუნება		(10 000)
გაცვლითი კურსის ეფექტი	(5159)	(3 159)
ფულის მოძრაობა პერიოდის განმავლობაში	1 022 792	10 534
ფული წლის დასაწყისში	20 299	9 766
ფული წლის ბოლოს	1 043 091	20 299

დირექტორი გიორგი ჯამაგიძე



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი			2007785	2007785
2021 წლის მოგება			2262706	2262706
მოგების გადასახადი			-166804	-166803.8
გაცემული დივიდენდი			-945222	-945221.54
ქველმოქმედების მიზნით ხევსურთსოფელის საჯარო სკოლას ჩაერიცხა			-900	-900
ქველმოქმედების მიზნით ხევსურთსოფელის საჯარო სკოლაში ჩარიცხულ თანხას დაერიცხა მოგების გადასახადი			-158.82	-158.82
2021 წლის 31 დეკემბერი			3157407	3157407

დირექტორი გიორგი ჯამაგიძე



სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2021 წლის 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების (მსს ფასს) სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნული ვალუტის ფულად ერთეულში (ლარი), რომელიც წარმოადგენს შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას წარსადგენ ვალუტას და კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით.

კომპანიამ ფინანსური ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციის გარდა, მოამზადა დარიცხვის მეთოდის საფუძველზე. დარიცხვის მეთოდის თანახმად, სააღრიცხვო ერთეული აქტივად, ვალდებულებად, საკუთარ კაპიტალად, შემოსავლად ან ხარჯად უნდა აღიარდეს იმ მომენტში, როდესაც იგი დააკმაყოფილებს შესაბამის განმარტებასა და აღიარების კრიტერიუმებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ჯგუფი სასარგებლო მომსახურების ვადა (გამოშვების წლიდან)

მანქანადანადგარები

თბომავალი 40 წელი

(მუდმივად სათადარიგო ნაწილების შეცვლით, პერიოდული და მიმდინარე შეკეთების გრაფიკის დაცვის პირობებში)

ელექტრომოწყობილობა 2-3 წელი

სამუშაო კომპიუტერი პრინტერები 3-5 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს თბომავლის შეკეთებისთვის აუცილებელ სათადარიგო ნაწილებს და სახარჯ მასალას, როგორიცაა საპოხი ზეთი, ძრავის ზეთი, დიზელის საწვავი.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან. პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და სამშენოსავლო გადასახადი.

რაც შეეხება დამატებული ღირებულების გადასახადს (დღგ), კომპანია საერთაშორისო გადაზიდვის ტვირთების სასადგურე მომსახურების საქმიანობიდან განთავისუფლებულია ჩათვლის უფლებით ამ გადასახადისგან, ხოლო ადგილობრივი გადაზიდვის ტვირთების სასადგურე მომსახურების დროს იბეგრება დღგს გადასახადით.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება და სხვა საერთო ხარჯების“ მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კერძოდ კომპანიას იჯარით აქვს აღებული ფარეხის ტიპის 40კვ მეტრი ფართი თბომავლის სათადარიგო და სახარჯი მასალების შესანახად.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებები	თბომავლები	სატვირთო მანქანა	სანავიგაციო მოწყობილობა	ელექტრო მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ინვენტარი 1 ელზე მეტი მოხმარების	სულ
31.12.2020	1 803 175	63 967	12 972	1 725	6 594	4 017	1 892 450
შემოსვლა		23 111	5 234	247	1 931	3 750	34 274
გადაფასება							-
გასვლა					(3 714)	(3 653)	(7 367)
31.12.2021	1 803 175	87 078	18 206	1 972	4 811	4 115	1 919 358
ცვეთა და გაუფასურება							-
31.12.2020	(459 985)	(1 561)	(9 958)	(345)	(3 693)	(3 214)	(478 756)
პერიოდის ცვეთა	(106 321)	(9 866)	(1 889)	(604)	(2 308)	(1 768)	(122 755)
გასვლა	-				3 714	3 653	7 367
31.12.2021	(566 305)	(11 427)	(11 847)	(949)	(2 287)	(1 329)	(594 144)
წმინდა საბალანსო ღირებულება							-
31.12.2020	1 343 190	62 407	3 014	1 380	2 901	803	1 413 694
31.12.2021	1 236 870	75 651	6 359	1 024	2 524	2 786	1 325 214

შენიშვნა 1 ძირითადი საშუალებები

შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯია იყენებს ძირითადი საშუალებების ცვეთის წრფივ მეთოდს. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალება (კონკრეტულად 4 თბომავლი წარმოადგენს კომპანიის მიერ აღებული ბიზნეს სესხების უზრუნველყოფას

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საკუთარი კაპიტალი

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები (საბანკო ანგარიშები) და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

შენიშვნა 2 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ნაშთი მითითებულ პერიოდში	31.12.2021	31.12.2020
სალარო	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	22927	20135
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		164
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში დაჯავშნული თანხები	1020164	
ჯამი	1043091	20299

შენიშვნა 3 მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2021	31.12.2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	201615	189128
საექვო მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4580	4580
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებებზე ავანსად გადახდილი თანხები	147621	55519.68
ჯამი	353816	249227

შენიშვნა 4 ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

	31.12.2021	31.12.2020
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	14670	2778
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან ავანსად მიღებული თანხები	45014	
ჯამი	59684	2778

შენიშვნა 5 გრძელვადიანი სესხის ნაშთი 31.12.2021 წლის მდგომარეობით

გრძელვადიანი სასესო ვალდებულება	ვალუტა	31.12.2021	ექვ ლარი
სს თიბისი ბანკი ბიზნეს სესხი 3739702-11234556 (60000 აშშ დოლარი)	აშშ დოლარი	20 465 USD	63394
სს თიბისი ბანკი ბიზნეს სესხი 3739702-11102962	ევრო	€ 589 920.8	2067082
საქართველოს ბანკი N 6930239 (40000 ლარი)	ლარი		33872
ჯამი			2164348

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილზე გადახდილი პროცენტი 2021 წელს

გადახდილი პროცენტი		31.12.2021
	უცხოური ვალუტა	ეროვნული ვალუტა ლარი
სს თიბისი ბანკი ბიზნეს სესხი 3739702-9900491 (საწყისი თანხა 180000აშშდოლარი)	1 980 USD	6589
სს თიბისი ბანკი ბიზნეს სესხი 3739702- 11234556 (60000 აშშ დოლარი)	3 168 USD	10274
სს თიბისი ბანკი ბიზნეს სესხი 3739702- 11102962	€ 39 908.5	152951
საქართველოს ბანკი N 6930239 (40000 ლარი)		3395
ჯამი		173210

სს თიბისი ბანკის სესხი №3739702-9900491 აშშ დოლარში აღებულია 2018 წლის 31 მაისს თბომაველის მასაქნად. სესხის სრულად დაფარვის ვადა იყო 2021 წლის 10 ივნისი აღნიშნული პერიოდისთვის სესხი სრულად იქნა დაფარული, საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 8%.

2019 წლის 30 მარტს აღებული ბიზნეს სესხის № 3739702-11102962 თანხაა 945000 ევრო, სესხის სრულად დაფარვის ვადა იყო 2023 წლის 5 იანვარი, საპროცენტო განაკვეთი შეადგენდა 5,3%-ს. 2020 წლის 28 სექტემბერის სესხის რესტრუქტურირების შედეგად სესხის დაფარვის ვადად განისაზღვრა 5 ოქტომბერი 2025 წელი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი გახდა წლიური 6%. აღნიშნული სესხით

განხორციელდა შპს კედარი 2000 -ის (ს/კ 229317600) 45%-იანი წილის შესყიდვა, შპს კედარი 2000, შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, დუშეთის რ-ნის სასამართლოში რეგისტრაციის ნომერი 30/5/ბ-169, თარიღი: 21 მაისი 2002 წელს. იურიდიული მისამართი: საქართველო, დუშეთის რ-ნი დაბა ჟინვალის სამშენებლო პოლიგონი .

შპს კედარი 2000 ი-ს, ფაქტიური მისამართია: დუშეთის რ-ნი დაბა ჟინვალის სამშენებლო პოლიგონი. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის სხვა და სხვა ჯიშის მორის დახერხვა და რანდვა,და საბითუმო ვაჭრობა ხე-ტყის მასალით.

2020 წლის 24 დეკემბერს სს თიბისი ბანკიდან მიღებული ბიზნეს სესხი 3739702-11234556 (60000 აშშ დოლარი) სრულადაა დაფარული 2021 წლის 6 მაისს.

კომპანიის ფინანსური საჭიროებისთვის სს თიბისი ბანკიდან 2022 წლის 24 იანვარს მიღებული იქნა დამატებით ბიზნეს სესხი 80000 აშშ დოლარის ოდენობით კონტრაქტის ნომერი 3739702-11818392 6,5% საპროცენტო განაკვეთით. 80000 აშშ დოლარი სესხის დაფარვის თარიღია 2023 წლის 9 ივლისი.

ხოლო 2022 წლის 21 ივნისს სესხის თანხა 1 920 000 ლარი, სესხის ტიპი: აწარმოე საქართველოში 15,18 % საპროცენტო განაკვეთით. კონტრაქტის ნომერი 3739702-12060763 ათვისების თარიღია 2022 წლის 21 ივნისი. სესხის თანხით შეძენილი და იმპორტირებულია ლიტვის რესპუბლიკიდან 2 ერთეული თბომავალი (ლოკომოტივი). სესხის უზრუნველყოფას წარმოადგენს მოძრავი შემადგენლობა თბომავლები. აღნიშნული სესხის დაფარვის ვადაა 2024 წლის 1 იანვარი

შენიშვნა 6 საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლები

შემოსავალი	31.12.2021	31.12.2020
საერთაშორისო გადაზიდვების სასადგურე მომსახურეობა	7211534	5 412 172
ადგილობრივი გადაზიდვების სასადგურე მომსახურეობა	880041	973 508
სატვირთო ავტომობილების მომსახურეობით მიღებული შემოსავალი (ადგილობრივი გადაზიდვები)	21555	6 822
სატვირთო ავტომობილების მომსახურეობით მიღებული შემოსავალი (საერთაშორისო გადაზიდვები)	211630	
საქონლის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი		115 527
უვარგისი სათადარიგო ნაწილების ჯართად რეალიზაცია	38	
თბომავლის იჯარით გადაცემიდან მიღებული შემოსავალი	0	17 313
სხვა შემოსავალი		572
საკურსო სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	334353	
ჯამი	8 659 151	6 525 914

შენიშვნა 7 მარაგები**თბომავლის შეკეთების მარაგ ნაწილები და სახარჯი მასალები**

შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას მიერ სისტემატიურად ხორციელდება თბომავლის სათადარიგო ნაწილების შესყიდვა, და კომპანიის მიერ შედგენილი მიმდინარე და გეგმიური შეკეთების გრაფიკის მიხედვით, თბომავლებს უკეთდება გეგმიური ან მიმდინარე შეკეთების სამუშაოები როგორც საკუთარი ძალებით ასევე ამ კუთხით სპეციალიზირებული შემკეთებელი კომპანიების მიერ ან მოწვეული სპეციალისტების მიერ.

დასახელება		ნაშთი	შეძენა	გახარჯვა	გადატანილია ძირითადი სამუშაოების ანგარიშზე	ნაშთი
		31.12.2020	2021წელი			31.12.2021
თბომავლი ზეთები (საპოხი, დიზელის)	7	843	26390	21538		5695
სატვირთო ავტომობილების საპოხი მასალები ზეთები	7		254	254		
სატვირთო ავტომობილების სათადარიგო ნაწილები	7	0	10319	10319		0
გახარჯული დიზელის საწვავი(0690) თბომავლების	7	15905	257863	251788		21980
გახარჯული დიზელის საწვავი(0690) სატვირთო მანქანების	7	2067	12342	12162		2247
სათადარიგო ნაწილები თბომავლის	7	15770	83888	45651		54008
სხვადასხვა დამხმარე მასალები	7	2872	3891	4192		2571
სხვადასხვა დამხმარე მასალები		2436			2436	0
სამუხრუჭე ხუნდები	7	29351		5039		24312
ინვენტარი 1 წლამდე სარგებლობის	7	2432	667	1930	301	869
ჯამი სათადარიგო მასალების		71677	395616	352873	2737	111682
სპეცჩასაცემელი	8	63	11273	10593		743
სულ სასაწყობე ნაშთი		71739	406889	363466	2737	112425

8. სხვა ადმინისტრაციული ხარჯი 2020 წელს

ერთეული ლარი	2021	2020
სალოკომოტივო ბრიადების გამოცდების ღირებულება	874	926.74
ბანკი ხარჯი (ჯარიმა)	8985.16	13041.19
სესხის დასმის საკომისიო	120	666.51
კომპიუტერის ხარჯი (კარტრიჯი)		
ბანკის მომსახურების ხარჯი	2201.7	2499.78
ტრეინინგების ღირებულება პროფესიული ამაღლების მიზნით	524	652.71
სპეცჩასაცემელი	10592.98	4616.95
სამეწარმეო რეესტრში ამონაწერის განახლების ხარჯი		
საკანცელარიო საქონლის ღირებულება	868.21	606.54
საკონსულტაციო ხარჯები	3249	
სხვა სახანძრო უსაფრთხოებაზე გაწეული ხარჯი	387.36	
საპენსიო ფონდში ორგანიზაციის წილად გადარიცვლია		
თანამშრომელთა სავალდებულო დაზღვევა (უბედური შემთხვევა)	600	730.15
კოვიდ 19 გაწეული ხარჯები	547.66	1542.6
ჯამი	28950	25283

შენიშვნა 9 სასადგურე მომსახურება

2021 წლის განმავლობაში სს საქართველოს რკინიგზის დირექტორთა საბჭოს 2017 წლის 17 აგვისტოს № 12/37 დადგენილების და სს საქართველოს რკინიგზას სატარიფო პოლიტიკის ფარგლებში გადახდილია სასადგურე მომსახურების შესრულებისთვის სადგურ ბათუმსა და სადგურ ფოთში 4 450 154 ლარი, ხოლო 2020 წელს აღნიშნული თანხა შეადგენდა 3 541 880 ლარს

შენიშვნა 10 იჯარის გადასახადი

	2021	2020
კოვიდ 19 დაკავშირებით ბინის იჯარა თანამშრომლებისთვის ლოქ დაუნის დროს		542.09
სასაწყობე იჯარა სათადარიგონაწილების და სახარჯი მასალების შესანახად	7500	7500
ჯამი	7500	8042.09

შენიშვნა 11 სხვა საგადასახადო ხარჯი

	2021	2020
ქონების გადასახადი	13708.21	14379.43
თანხის დაგვიანებით გადარიცხვისთვის დარიცხული ჯარიმა	1719.73	911.5
ჯამი	15427.94	15290.93

შენიშვნა 12. პერსონალის ხარჯი

2021 წლის პერსონალის ხარჯი - დარიცხული ხელფასია 988066 ლარი, სრულად მოიცავს სადგურ ბათუმსა და სადგურ ფოთში სასადგურე მომსახურებაში მონაწილე დაქირავებულ თანამშრომეთა ხელფასს, მათ შორის დირექტორის და ტექნიკური დირექტორის ხელფასს. თითოეული დაქირავებული თანამშრომელი მათ შორის დირექტორი და ტექნიკური დირექტორი უშუალო მონაწილეს იღებს სასადგურე მომსახურების შესრულებისთვის სამუშაოებში. წარმოების სტრუქტურიდან გამომდინარე მათი ხელფასი წარმოადგენს პირდაპირ ხელფასს. 8303 ლარი ესაა ორგანიზაციის წილი საპენსიო ანარიცხები.

ერთეული ლარი	2021	2020
ვალდებულება 2020 წლის 1 იანვრისთვის	0	37052.8
დარიცხული ხელფასი 2021 წლის განმავლობაში	988066.29	804635.09
დარიცხული ხელფასი 2021 წლის განმავლობაში გადაზიდვით მომსახურების	663.27	0
კოვიდ 19 დაკავშირებული სახელმწიფო შეღავათი	-13437.71	-21119.26
გასამრჯელოების გადახდა 2021 წლის განმავლობაში	975291.85	841687.89
ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	0	0
კომპანიის წილად გადახდილი საპენსიო ანარიცხები	8302.97	5914.7
მათ შორის დარიცხული ხელფასი:		
დირექტორი	68743.6	68918.34
ტექნიკური დირექტორი	78062.5	96800

შენიშვნა 13 ტრანსპორტის შენახვის ხარჯები

	2021	2020 წელი
შპს საქართველოს რკინიგზას მიერ შესრულებული ტექ დათვალიერებების ღირებულება, ხელშეკრულების შესაბამისად და ხარვეზის აღმოსაფხვრელად დავალებებზე გაწეული ხარჯი- სს საქართველოს რკინიგზასა და შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას შორის დადებული 2021 წლის 9 ვთებერვლის ხელშეკრულება სგფ № 21-009 და სგფ-008-ის თანახმად	5254.83	7743.93
სატვირთო ავტომობილების 3 ერთეული ტექ დათვალიერება	271.2	
მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ღირებულება ინსტრუქციის შესაბამისად განხორციელებული სარემონტო კომპანიების მიერ.	63650	60000
დაქირავებული სატრანსპორტო საშუალებები	189098.81	
ლოკომოტივებთან კომუნიკაციის ხარჯი	4254.23	4255.54
ჯამი	262529.07	71999.47

2021 წლის პერიოდის ხარჯი 5255 ლარი მოიცავს შპს ტრანს ექსპრეს ჯორჯიას კუთვნილი თბომავლების შპს საქართველოს რკინიგზას მოთხოვნების საფუძველზე შემოწმების, ტექ დათვალიერების ხარჯებს, ხოლო 63650 ლარი მიმდინარე შეკეთების სამუშაოების ხარჯია სს საქართველოს რკინიგზასთან არსებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

შენიშვნა 14.

კომპანიის ფინანსური საჭიროებისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული სასესხო ვალდებულების გადაფასების შედეგად 31,12,2021 წლის მდგომარეობით მიღებული დადებითი საკურსო სხვაობა 338807 ლარია.

	2021	2020 წელი
უცხოურ ვალუტაში ანგარიშების და სასესხო ვალდებულებების გადაფასების საკომისიო	338807.27	-652729.1
კონვერტაციის საკომისიო	-4454.04	-5165.69
ჯამი	334353	-657895

შენიშვნა 15 მოგების გადასახადი

2021 წლის მოგების გადასახადი 1166963 ლარი სრულად მოიცავს მესაკუთრეებზე განაწილებული დივიდენდის გაცემის შედეგად ბიუჯეტის ერთობლივ ანგარიშზე დასარიცხ თანხას და შპს ტრანს ექსპრეს კომპანიის მიერ გაწეულ დახმარებას (900 ლარი) დარიცხულ მოგების გადასახადს, რაც შეადგენს 159 ლარს.

	2021 წელი ლარი	2020წელი ლარი
დივიდენდის განაწილება მესაკუთრეებზე	-945222	-377498
დარიცხული მოგების გადასახადი	-166804	-66617
ქველმოქმედება(გაწეული არა საქველმოქმედო ორგანიზაციაზე)	-900	0
ქველმოქმედება დაბეგრული მოგების გადასახადით	-159	0
სულ გადახდილი მოგების გადასახადი	-166963	-66617

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია დირექტორის გიორგი ჯამაგიძის მიერ 2022 წლის 22 სექტემბერს

დირექტორი გიორგი ჯამაგიძე

